

სარჩევი

თავი 1. არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპები	3
თავი 2. ადგილობრივი თვითმმართველობის როლი საარჩევნო პროცესებში	4
2.1. საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობა	4
2.2. საარჩევნო კომისიებისათვის არჩევნებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების გადაცემის წესი ...	5
მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი	6
2.3. ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას	7
თავი 3. ადმინისტრაციული რესურსები	12
3.1. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა.....	12
უწყებათაშორისი კომისია	15
3.2. საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა.....	18
3.3. თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა.....	20
3.4. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანმდებობრივ მდგომარეობასთან	23
თავი 4. პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის	24
4.1. ამონარიდი საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან	24
4.2. ამონარიდი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან	25
4.3. სამართალწარმოება	27
4.4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი	28

საქართველოში არჩევნების ჩატარების ძირითადი პრინციპებია:

- ▶ **საყოველთაო საარჩევნო უფლება** - საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, პლებისციტში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. არჩევნებში, რეფერენდუმსა და პლებისციტში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მოთავსებულია პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა იმ პირისა, რომელსაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული, აგრეთვე იმ პირს, რომელიც სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო და მოთავსებულია სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში (კონსტიტუცია - მუხლი 28; საარჩევნო კოდექსი - მუხლი 3.ა)
- ▶ **თანასწორი საარჩევნო უფლება** - ყველა ამომრჩეველს კანონის ფარგლებში აქვს თანასწორი უფლებები და საარჩევნო უფლების რეალიზაციისათვის თანასწორი პირობები. ერთი და იმავე საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს ხმათა თანაბარი რაოდენობა აქვს (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 3.ბ)
- ▶ **პირდაპირი საარჩევნო უფლება** - საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის წევრს, თვითმმართველი ქალაქის/თემის საკრებულოს წევრს, თვითმმართველი ქალაქის/თემის მერს/გამგებელს ამომრჩევლები ირჩევენ უშუალოდ (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 3.გ)

- ▶ **კენჭისყრის ფარულობის პრინციპი** - თითოეულ ამომრჩეველს გარანტირებული აქვს შესაძლებლობა დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი ფარული კენჭისყრის კაბინაში და პირადად ჩაუმვას ის საარჩევნო ყუთში (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 3.დ)
- ▶ **ნების თავისუფალი გამოვლენა** - საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით აკრძალულია ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენას. დაუშვებელია კონტროლი ამომრჩევლის ნების გამოვლენაზე (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 3.დ)

თავი 2

ადგილობრივი თვითმმართველობის როლი საარჩევნო პროცესებში

2.1. საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის ხელშეწყობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, ვალდებული არიან:

- ▶ საოლქო საარჩევნო კომისიას მიაწოდონ მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს საარჩევნო უბნის საზღვრებისა და ნომრების დადგენა/დაზუსტებას (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 23.2);
- ▶ საარჩევნო კომისიებს დროებით და უსასყიდლოდ გადასცენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობა და ინვენტარი და უზრუნველყონ გადაცემული შენობა-ნაგებობის კომუნალური ხარჯების დაფარვა (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.1);

ყურადღება!

აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის იმავე შენობაში განთავსება და კენჭისყრის ადგილის გამოყოფა იმავე შენობაში, რომელშიც განთავსებულია:

- ▶ პარტია;
- ▶ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არ არის სხვა, შესაფერისი შენობა კენჭისყრის ჩასატარებლად. სათანადო გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია);
- ▶ პოლიციის ან საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დანაყოფი (გარდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საუბნო საარჩევნო კომისიისა) (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 58.2).

ყურადღება!

აკრძალულია პარტიის, პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო შტაბის იმ შენობაში განთავსება, სადაც საარჩევნო კომისიაა განთავსებული (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 19.8¹ და 58.2¹).

2.2. საარჩევნო კომისიებისათვის არჩევნებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობების გადაცემის წესი

საარჩევნო კომისია არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობისა და ინვენტარის გადაცემის მიზნით მიმართავს შესაბამის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ - მუხლი 35.3).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტით საარჩევნო კომისიას სარგებლობაში გადასცეს მის ბალანსზე რიცხული ქონება (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ - მუხლი 35.2).

მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

საარჩევნო კომისიის მიმართვა უნდა შეიცავდეს საარჩევნო კომისიის დასახელებას და ქონების გადაცემის თაობაზე დასაბუთებულ მოთხოვნას.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ქონების სარგებლობაში გადაცემის მოთხოვნით მიმართვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას მოთხოვნილი ქონების გადაცემის თაობაზე, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს:

- ▶ ქონების მიმღები ორგანოს დასახელებას;
- ▶ ქონების დასახელებასა და დახასიათებას;
- ▶ ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას;
- ▶ ქონების გადაცემის სხვა პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 1 თვის ვადაში (საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება №302 "სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე").

2.3. ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას

წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)

წინასაარჩევნო კამპანია არის საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მიერ არჩევნებში მონაწილეობისა და გამარჯვების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებათა ერთობლიობა (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 2.3).

წინასაარჩევნო აგიტაცია გულისხმობს ამომრჩეველთა მოწოდებას საარჩევნო სუბიექტის/საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ, აგრეთვე ნებისმიერ საჯარო მოქმედებას, რომელიც ხელს უწყობს, ან ხელს უშლის მის არჩევას (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 2.3¹).

წინასაარჩევნო აგიტაციად მიიჩნევა ასევე, ნებისმიერი საჯარო მოქმედება, რომელიც შეიცავს წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნებს, მათ შორის (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 2.3¹):

- ▶ წინასაარჩევნო ღონისძიების ორგანიზება/ჩატარებაში მონაწილეობა;
- ▶ საარჩევნო მასალების შენახვა, ან გავრცელება;
- ▶ მხარდამჭერთა სიებზე მუშაობა;
- ▶ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობებში ყოფნა.

წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) იწყება არჩევნების დანიშვნის თაობაზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებისთანავე. პოლიტიკური პარტიები და საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები სარგებლობენ თანასწორი უფლებებით და აკისრიათ თანაბარი ვალდებულებები საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.1).

წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს:

- ▶ საარჩევნო კომისიების წევრებს;
- ▶ მოსამართლეებს;
- ▶ საქართველოს პროკურატურის, საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებს;
- ▶ გენერალურ აუდიტორს
- ▶ საქართველოს სახალხო დამცველს;
- ▶ უცხო ქვეყნის მოქალაქესა და ორგანიზაციას;
- ▶ საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებს;
- ▶ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებს;
- ▶ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ **სამსახურებრივ ფუნქციებს**, (აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ პოლიტიკური თანამდებობის პირებზე¹ (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 49.2).

¹ პოლიტიკური თანამდებობის პირი - საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.

აკრძალულია წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება შემდეგ დაწესებულებათა შენობებში:

- ▶ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები;
- ▶ სასამართლოები;
- ▶ სამხედრო ნაწილები.

სააგიტაციო მასალა

წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) პერიოდში პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვთ დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა. აკრძალულია მათი გავრცელებისთვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა და წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.2).

სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების, ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.1).

ყურადღება!

დაუშვებელია და კანონით ისჯება სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის განთავსებული (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.2,7¹).

ყურადღება!

აკრძალულია სააგიტაციო მასალის განთავსება/გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, საარჩევნო კოდექსით დადგენილი აკრძალვების გათვალისწინებით განსაზღვრონ იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზედაც სააგიტაციო მასალის განთავსება აკრძალულია, და განსაზღვრონ ადგილები ან/და დადგან სტენდები სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად. სტენდი უნდა იყოს იმ ზომის, რომ სააგიტაციო მასალის გამოფენისას ყველა საარჩევნო სუბიექტი უზრუნველყოფილი იყოს თანაბარი პირობებით (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.4)

სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად გამოყოფილი ადგილების ან/და დადგმული სტენდების თაობაზე **ინფორმაცია** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა უნდა გამოაქვეყნონ არჩევნების დანიშნვიდან **არა უგვიანეს 10 დღისა** (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.5).

არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან უზრუნველყონ სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.8).

შეკრებები და მანიფესტაციები

წინასაარჩევნო აგიტაციის პერიოდში პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებსა და მათ მხარდამჭერებს უფლება აქვთ (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.3,6):

- ▶ გამოვიდნენ მომავალი საქმიანობის პროგრამით;
- ▶ გამართონ შეხვედრები ამომრჩევლებთან;
- ▶ მოაწიონ შეკრებები, მასობრივი საჯარო გამოსვლები;
- ▶ მოაწიონ ქუჩაში მსვლელობა - მანიფესტაცია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან ხელი შეუწყონ პოლიტიკურ პარტიებს/საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში და უზრუნველყონ აღნიშნული ღონისძიებების უსაფრთხოება (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.6).

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებიდან 5 დღის ვადაში შეადგინონ და გადასცენ საოლქო საარჩევნო კომისიას იმ შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.9).

თუ შეკრება, ან მანიფესტაცია ტრანსპორტის სავალ ადგილას იმართება, ან ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს, სავალდებულოა მერიის (გამგეობის) წინასწარი გაფრთხილება. მერია (გამგეობა) ვალდებულია დადგენილი წესით უზრუნველყოს სათანადო პირობები და განსაზღვროს ტრანსპორტის სავალი ალტერნატიული მარშრუტი (კანონი შეკრებების და მანიფესტაციების შესახებ - მუხლი 5.1; მუხლი 11¹.5).

3.1. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვა

ადმინისტრაციული რესურსი არის მატერიალური ფასეულობა - ქონება, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირებს **ეკრძალებათ** რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში შემდეგი სახის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება:

- ▶ სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, აგრეთვე იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, დაკავებული შენობების გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტს არა აქვთ იმავე ან ანალოგიური დანიშნულების შენობების იმავე პირობებით გამოყენების შესაძლებლობა; (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 48.1.ა);

კომენტარი/განმარტება - საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტში აღნიშნული რესურსების ერთი პოლიტიკურ პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში, თუ იგივე სახის შესაძლებლობა სხვა პოლიტიკურ პარტიას, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატს ან საარჩევნო სუბიექტს არ მიეცა,

ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის დარღვევად იმ თანამდებობის პირის მიერ, ვინც უმოქმედობით ან დაუსაბუთებელი უარით არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას.

პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას, როგორც წესი, დასაბუთებული წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს მიმართვიდან არაუმეტეს 24 საათისა, რა დროშიც პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე უარის თქმად. აღნიშნული წესიდან გამონაკლისი დაიშვება ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში.

აღნიშნული ნორმა ასევე მოიცავს: იმ პირების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში მყოფ შენობა-ნაგებობებს, რომლებიც მათ გადაცემული აქვთ ხელშეკრულების საფუძველზე გარკვეული ფუნქციის შესასრულებლად.

- ▶ სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 48.1.გ);

კომენტარი/განმარტება - იკრძალება სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება.

ყურადღება!

შეზღუდვა არ ვრცელდება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების² მიერ მათი სამსახურეობრივი ავტომატების გამოყენებაზე, რომელთა დაცვას კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური³ (საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

- ▶ სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), განკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებების, საინფორმაციო მომსახურებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 48.1.ბ).

² პოლიტიკური თანამდებობის პირი - საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.

³ საქართველოს კანონის “სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ” მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირებს საარჩევნო კოდექსის მიზნებისათვის წარმოადგენენ: საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე; საქართველოს პრემიერ-მინისტრი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა ორგანოების ხელმძღვანელები.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პერსონალური დაცვა შეიძლება დაენიშნოს ან მოეხსნას: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს; საქართველოს პარლამენტის წევრს; საქართველოს მთავრობის წევრს; საქართველოს სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელს; საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირს სამსახურეობრივი უფლებამოსილების პერიოდში.

კომენტარი/განმარტება - საარჩევნო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის ”ზ” ქვეპუნქტის მიზნებისათვის ორგანიზაციებად, რომელთა დაფინანსება ხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, განიხილებიან სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირები.

უწყებათაშორისი კომისია

საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2015 წლის 1 სექტემბრის №97 ბრძანებით შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია. კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე პერიოდით (კომისია საქმიანობას წყვეტს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების დღიდან).

უწყებათაშორისი კომისიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად და კომისიის დებულების მიზნიდან გამომდინარე, კომისია:

- ▶ უზრუნველყოფს უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციას და ხელს უწყობს დიალოგს მთავრობასა და არჩევნებში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის. ამ მიზნით, კომისია თანამშრომლობს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან, აგრეთვე, საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან/საარჩევნო ბლოკებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამკვირვებლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან;
- ▶ უზრუნველყოფს საარჩევნო პროცესში ჩართული სუბიექტებისგან საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ მიღებული ინფორმაციის, ასევე, მედიით გავრცელებული ცნობების გადამოწმებას;
- ▶ განიხილავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იმ დარღვევების შესახებ ინფორმაციას, რომელთაც კომისიას აწვდიან პოლიტიკური გაერთიანებები (საარჩევნო სუბიექტები) ან დამკვირვებელი ორგანიზაციები.
- ▶ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, კომისია შეიმუშავებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს საჯარო მოსამსახურეების, ადმინისტრაციული ორგანოების, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ.

კომისიის საქმიანობის წესი

უწყებათაშორისი კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 კვირაში ერთხელ, ხოლო საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ - არანაკლებ კვირაში ერთხელ.

კომისია უფლებამოსილია, თუ კომისიის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

კომისიის საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, კომისიის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც.

კომისია თანამშრომლობს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან, აგრეთვე, სხვა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებთან. აღნიშნული პირები სათათბირო ხმის უფლებით სარგებლობენ და კომისიას მიაწვდიან ინფორმაციას საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის შესახებ.

კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) უზრუნველყოფს სხდომის ოქმის გადაგზავნას კომისიის წევრებისა და კომისიის სხდომაზე მოწვეული სხვა პირებისათვის.

3.2. საბიუჯეტო თანხების გამოყენების აკრძალვა

არჩევნების დღემდე მე-60 დღიდან არჩევნების დღის ჩათვლით აკრძალულია:

- ▶ ისეთი პროექტების/პროგრამების განხორციელება, რომლებიც მანამდე არ იყო გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პროექტები/პროგრამები ფინანსდება არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე შესაბამისი ბიუჯეტის სათანადო პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში ან/და ამ ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრებით, აგრეთვე დონორების მიერ გამოყოფილი სახსრებით (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 49.3).
- ▶ სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ოდენობის ზრდა, გარდა იმ გასაცემლებისა, რომელთა ოდენობის ზრდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იყო არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე, აგრეთვე ისეთი სოციალური გასაცემლების (პენსია, სოციალური დახმარება, შემწეობა და სხვა) ან/და შეღავათების დაწესება, რომლებიც არჩევნების დღემდე არანაკლებ 60 დღით ადრე გათვალისწინებული არ იყო საქართველოს კანონმდებლობით (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 49.4).

ყურადღება!

ამ წესების დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ხარჯების შეჩერება.

ყურადღება!

აღნიშნული აკრძალვები არ ვრცელდება სტიქიური უბედურების ან სხვა ფორსმაჟორული გარემოების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, სახელმწიფო ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ საარჩევნო უბნების მოწყობის დაფინანსებაზე (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-5 პუნქტი).

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში აკრძალულია:

- ▶ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით ისეთი სააგიტაციო მასალის, ვიდეო-ან აუდიო მასალის დამზადება, ვებგვერდის ან მისი ნაწილის შექმნა, რომელშიც/რომელზედაც ასახულია ესა თუ ის საარჩევნო სუბიექტი/პოლიტიკური პარტია ან მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომერი ან/და რომელიც შეიცავს ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის მხარდასაჭერ/საწინააღმდეგო ინფორმაციას.
- ▶ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით დამზადებულ სოციალურ რეკლამაში საარჩევნო სუბიექტის/პოლიტიკური პარტიის ან მისი რიგითი ნომრის გამოყენება (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 პუნქტი.)

ყურადღება!

აკრძალულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის/ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებით ორგანიზებულ ღონისძიებაზე/პრეზენტაციაზე ორგანიზატორის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა. აღნიშნული ქმედება ჩაითვლება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.7).

3.3. თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს⁴, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოში უკავია თანამდებობა, **ეკრძალება** რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში თავისი თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება.

თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში **იგულისხმება:**

- ▶ სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმას ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან/და არჩევას (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);

კომენტარი/განმარტება - წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, ეკრძალება რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად ან

⁴ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, გარდა: ა) საარჩევნო კომისიის წევრისა; ბ) მოსამართლისა; გ) საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოხელეებისა; დ) გენერალური აუდიტორისა; ე) საქართველოს სახალხო დამცველისა; ვ) უცხო ქვეყნის მოქალაქისა და ორგანიზაციისა; ზ) საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებისა; თ) სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებისა - სამუშაო საათების განმავლობაში ან/და როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს; ი) საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებისა.

საწინააღმდეგოდ წინასაარჩევნო აგიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში უშუალოდ სამსახურებრივად დაქვემდებარებული პირების და ასევე სხვაგვარად დამოკიდებული პირების ჩაბმა, მათ შორის, სამსახურებრივად დაქვემდებარებულ პირებთან შეხვედრის დროს თანამდებობის პირის მიერ პოლიტიკურ პარტიის, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატის ან საარჩევნო სუბიექტის წარდგენა, ან რომელიმე კანდიდატის მხარდასაჭერი, ან მისი საწინააღმდეგო განცხადების გაკეთება.

ამ მუხლის მიზნებისათვის ტერმინი „სხვაგვარად დამოკიდებული პირები“ აღიქმება როგორც პირები, რომლებიც საქმიანობიდან გამომდინარე მატერიალურად ან რაიმე სხვა ფორმით დამოკიდებულნი არიან აღნიშნული თანამდებობის პირებზე.

- ▶ სახელმწიფო ხელისუფლების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინებების დროს ხელმოწერების შეგროვებას და წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევას (საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);

კომენტარი/განმარტება - წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე პირს, რომელსაც სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში უკავია თანამდებობა, ეკრძალება ხელმოწერების შეგროვება და აგიტაციის გაწევა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაფინანსებული სამსახურებრივი მივლინების დროს.

- ▶ წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების განმავლობაში ან/და სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას.⁵

კომენტარი/განმარტება - სამსახურებრივი ფუნქციების შესრულების დროდ ჩაითვლება საჯარო მოხელის მხრიდან უშუალოდ სამსახურებრივი ფუნქციების შესრულება, მათ შორის ანაზღაურებადი დრო. ამ ნორმის მიზნებისათვის სამუშაო საათებში არ ჩაითვლება შესვენებისთვის განკუთვნილი დრო.

ყურადღება!

შეზღუდვა არ მოქმედებს პოლიტიკურ თანამდებობის პირებზე⁶ აგრეთვე იმ შემთხვევაზე, როცა ხდება ტელერადიომაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის გამოყენება.

საარჩევნო სუბიექტთა რეგისტრაციის ვადის გასვლიდან კენჭისყრის დღის დამთავრებამდე **აკრძალულია** ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, პოლიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა საკადრო გადაადგილება, გარდა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და მათ მიერ კანონის დარღვევის შემთხვევებისა.

⁵ პოლიტიკური თანამდებობის პირი - საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს მთავრობის სხვა წევრები და მათი მოადგილეები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი.

3.4. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანმდებობრივ მდგომარეობასთან

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და განთავისუფლდნენ შემდეგი თანამდებობის პირები:

- ▶ საქართველოს პრეზიდენტი;
- ▶ საქართველოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;
- ▶ საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრები (გარდა პარლამენტის წევრებისა);
- ▶ საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს საბჭოს წევრები;
- ▶ გენერალური აუდიტორი და მისი მოადგილეები;
- ▶ სახელმწიფო რწმუნებულები – გუბერნატორები და მათი მოადგილეები;
- ▶ საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი, ქალაქის მერი;
- ▶ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები;
- ▶ მოსამართლეები;
- ▶ საქართველოს სახალხო დამცველი და მისი მოადგილე;
- ▶ საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველები;

- ▶ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები (რომლებიც არ არიან პარლამენტის წევრები);
- ▶ საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი და მისი მოადგილეები;
- ▶ პროკურორები, მათი მოადგილეები, თანაშემწეები და გამომძიებლები;
- ▶ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრები.

თანამდებობებიდან გადადგომისა და განთავისუფლების შესახებ სათანადო სამართლებრივი აქტი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს შესაბამის საარჩევნო კომისიას. წინააღმდეგ შემთხვევაში პირს უარი ეთქმება საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციაზე, ხოლო თუ რეგისტრაცია განხორციელდა – რეგისტრაცია უქმდება.

თავი 4

პასუხისმგებლობა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისათვის

4.1. ამონარიდი საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან

მუხლი 79. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება – გამოიწვევს დაჯარიმებას **2 000** ლარის ოდენობით.

მუხლი 80. წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო - და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებების ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა – გამოიწვევს დაჯარიმებას **1 000** ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი თანამდებობის პირთა მიერ, – გამოიწვევს დაჯარიმებას **2000** ლარის ოდენობით.

მუხლი 88. წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისას და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას **2 000** ლარის ოდენობით.

4.2. ამონარიდი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან

მუხლი 174¹. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა

1. შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა, – გამოიწვევს დაჯარიმებას **500** ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზატორის მიერ, – გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

3. სასამართლოს შესასვლელის ბლოკირება, შეკრების ან მანიფესტაციის მოსამართლის საცხოვრებელ ადგილას ან საქართველოს საერთო სასამართლოში ჩატარება -

– გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

4. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, მე-11 და 11¹ მუხლებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით, ხოლო თუ დამრღვევი ორგანიზატორია – დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისათვის პირს ჩამოერთმევა იარაღის ტარების უფლება 3 წლამდე ვადით.

მუხლი 174². შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით

შეკრებისათვის ან მანიფესტაციისათვის, აგრეთვე მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის ხელის შეშლა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, - გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ორმოცდაათიდან ას მინიმალურ ოდენობამდე.

თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება

სააგიტაციო მასალის განთავსება ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი, ასევე არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში საარჩევნო სუბიექტების მიერ სააგიტაციო მასალის ჩამოუხსნელობა განიხილება როგორც თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება და გამოიწვევს დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით (საარჩევნო კოდექსი - მუხლი 46.8, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 150.1).

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 150).

4.3. სამართალწარმოება

საქართველოს საარჩევნო კოდექსის **79-ე და 88-ე მუხლებით** გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს **ადგენენ ცესკო**, აგრეთვე ცესკოსა და შესაბამისი **საოლქო საარჩევნო კომისიების** მიერ უფლებამოსილი პირები (თანამდებობის პირები).

უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების საქართველოს საარჩევნო კოდექსის **მე-80 მუხლით** გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნაწილში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ შესაბამისი **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები**.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174²-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, მისდამი დაქვემდებარებული საარჩევნო კომისიები, მის მიერ უფლებამოსილი პირები ან/და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების საამისოდ უფლებამოსილი პირები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174¹-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმებს ადგენენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ასევე შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ უფლებამოსილი პირები (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 239.13,14).

4.4. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი განეკუთვნება მკაცრი აღრიცხვის ფორმებს. მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაცია ან ხელახალი რეგისტრაცია (მკაცრი აღრიცხვის ფორმაში ცვლილებების შეტანა), რეგულირდება და ხორციელდება საქართველოს კანონის ”მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ” და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების ”მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე” შესაბამისად.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში აღინიშნება:

- ▶ მისი შედგენის თარიღი და ადგილი;
- ▶ შემდგენის თანამდებობა, სახელი, მამის სახელი და გვარი;
- ▶ მონაცემები დამრღვევის პიროვნების შესახებ, მათ შორის, პირადი ნომერი ან გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი;
- ▶ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი;
- ▶ ნორმატიული აქტი, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის;
- ▶ მოწმეთა და დაზარალებულთა გვარები და მისამართები, თუ ისინი არიან;
- ▶ დამრღვევის ახსნა-განმარტება;
- ▶ საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი. ოქმს შეიძლება ხელი მოაწერონ აგრეთვე მოწმეებმა და დაზარალებულებმა (მათი არსებობის შემთხვევაში).

თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს უფლება აქვს, წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

ოქმის შედგენისას დამრღვევს განემარტება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლებები და მოვალეობები, რაც აღინიშნება ოქმში (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 240).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის შინაარსს და მისი გამოწერის წესს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 240¹).

ოქმის გაგზავნა, განხილვა და მისი გასაჩივრების ვადები

ოქმი დაუყოვნებლივ ეგზავნება რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს, რომელიც განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 241).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს რაიონული (საქალაქო) სასამართლო, განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში, გარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე, 174¹ და 174² მუხლებით გათვალისწინებული დარღვევებისა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150-ე მუხლით გათვალისწინებული დარღვევის თაობაზე საქმეები განიხილება 7 დღის ვადაში, ხოლო 174¹ და 174² მუხლებით გათვალისწინებული დარღვევების შესახებ - 3 დღის ვადაში. (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 262).

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება. ასევე, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი - მუხლი 271, 273).

